1. **სადოქტორო პროგრამა** - ისტორია

ქვედარგი - საქართველოს ისტორია

დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელები - დ. ჭუმბურიძე

კვლევის თემატიკა და ანოტაცია -„ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორია XIX-XX საუკუნეებში“

XIX-XX საუკუნეების ქართული ისტორიული აზრის განვითარება ჯეროვნად არ არის შესწავლილი. შეუსწავლელია ვახუშტი ბაგრატიონიდან ივანე ჯავახიშვილამდე მოღვაწე ქართველოლოგთა ისტორიული აზრი, ცალკეული მოაზროვნეების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საეკლესიო, სამართლებრივი და სხვა თემატიკაზე აგებული შრომები. ჯეროვნად არაა შესწავლილი ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შოთა მესხიას, პავლე ინგოროყვას, მამია დუმბაძის, ოლღა სოსელიას, დავით გვრიტიშვილის, გიორგი მელიქიშვილის და სხვა ისტორიკოსთა ნააზრევი თემატური ნიშნით: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიისა და ეკლესიის ისტორიის, ქართველი ერის ეთნოგენეზისის, ეთნო-გენეტიკური, გენეალოგიური და ბიოგრაფიული და სხვა მიმართულებით.

გამოსაკვლევია უცხოელი ქართველოლოგებისა და მათი მოწაფეების ღვაწლი ქართული საისტორიო აზრის განვითარებასა და პოპულარიზაციაში (მარი ბროსე, ნიკო მარი, დევიდ ლენგი და სხვ).

შესასწავლია საბჭოთა ისტორიოგრაფია, სადაც კონიუნქტურა და იდეოლოგიური კლიშეები უნდა გამოცალკევდეს იმ ფაქტოლოგიური მონაცემებისგან, რაც ამ პერიოდის ისტორიკოსთა ნაშრომებშია. შესასწავლია, ასევე, პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირითადი მიღწევები, საარქივო დოკუმენტები და სხვა სახის წყაროები, ასევე ის საერთაშორისო ისტორიოგრაფიული კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პრობლემასთან (მაგ: ეთნოგენეზისის, რელიგიისა და ეკლესიის და სხვა მიმართულებით).

დოქტორანტის ფინანსური მხარდაჭერა

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.